№05/10
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"5" მარტი 2010 წ.
№ 010260030351330020 97

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №13

2010 წლის 26 თებერვალი
დაბა ხელვაჩაური

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულება, თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მმენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 მარტის №3/5 დადგენილება (გაზეთი აჭარა №40, 09-10.04.09., გვ. 14)

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის 9 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე — როინ მალაყმაძე

დანართი

„დამტკიცებულია"
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის26 თებერვლის №13 დადგენილებით

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური (შემდგომში -სამსახური) არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 2.

სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 3 ივლისის №6/3 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით.

მუხლი 3.

სამსახურს აქვს ბეჭედი წარწერით: „საქართველო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა. არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური" და საპროექტო დოკუმენტაციის რეგისტრაციის შტამპი წარწერით „შეთანხმებულია, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთავარი არქიტექტორი."

მუხლი 4.

სამსახური ფინანსდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 5.

სამსახურის მისამართია: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №21.

თავი II. სამსახურის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 6. სამსახურის ამოცანები

სამსახურის ამოცანებს განეკუთვნება:

ა) არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სფეროში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თავისი კომპეტენციის განხორციელება;

ბ) არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სფეროში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა.

მუხლი 7. სამსახურის ფუნქციები

სამსახური, მოქმედი კანონმდებლობისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

ა) დადგენილი წესით უზრუნველყოფს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზებას;

ბ) უზრუნველყოფს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების საზღვრების დადგენის თაობაზე საპროექტო დავალების გაცემას და საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებას;

გ) უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით უწყებრივი სანებართვო რეესტრის წარმოებას;

დ) უზრუნველყოფს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებას;

ე) უზრუნველყოფს გამგეობის კომპეტენციას დაქვემდებარებული მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემას;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვების გაცემას და მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას;

ზ) უზრუნველყოფს მის კომპეტენციაში შემავალი სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების მომზადებას და გამგებლისათვის წარდგენას;

თ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საუკეთესო არქიტექტურული პროექტების გამოსავლენად კონკურსების ჩატარების ორგანიზებას;

ი) უზრუნველყოფს სივრცითი მოწყობის პროცესებისა და სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვის დოკუმენტების პროექტების მომზადებას;

კ) უზრუნველყოფს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებას დარგში არსებული მდგომარეობის, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე;

ლ) უზრუნველყოფს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, ეფექტიანი, სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმების შესახებ წინადადებების შემუშავებას მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების განვითარებისა და სრულყოფისათვის;

მ) უზრუნველყოფს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სარეკლამო და შემეცნებითი მნიშვნელობის მასალების მომზადებას და გავრცელებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

ნ) თანამშრომლობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ო) უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების მიღებას და კანონით დადგენილ ვადებში განხილვას;

პ) უზრუნველყოფს გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის და მოადგილის ცალკეული დავალებების შესრულებას;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოსა და გამგებლის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

თავი III. სამსახურის მართვა

მუხლი 8.

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი – მუნიციპალიტეტის მთავარი არქიტექტორი.

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი, ხოლო თანამშრომლებს - სამსახურის უფროსის წარდგინებით მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 9.

1. სამსახურის უფროსი:

ა) უზრუნველყოფს სამსახურის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაზე;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებას;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა შორის ფუნქციათა განაწილების შესახებ და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს გამგებელს;

დ) სამსახურში შემოსულ საკითხებს ანაწილებს განსახილველად სამსახურის თანამშრომელთა შორის;

ე) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) უშუალოდ იხილავს სამსახურის საჯარო მოხელეთა სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე შეტანილ საჩივრებს და წარდგინებებს და წარუდგენს გამგებელს შესაბამის დასკვნას;

ზ) წარუდგენს გამგებელს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

თ) გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უშუალოდ ითანხმებს გამგეობის საქმიანობიდან გამომდინარე ხელშეკრულების პროექტებს;

კ) ამზადებს გამგებლის სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ლ) წარმოადგენს სამსახურს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებთან და ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობისას;

მ) გამგებლის დავალებით წარმოადგენს გამგებელს საკრებულოში;

ნ) მონაწილეობს გამგეობის საქმიანობიდან გამომდინარე შექმნილ კომისიებში;

ო) ესწრება გამგებლის თათბირებს;

პ) ესწრება საკრებულოს სხდომებს, შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს საკრებულოს კომისიებში;

ჟ) ერთ-ერთ თანამშრომელს ავალებს შიდა საქმისწარმოების ფუნქციების შესრულებას;

რ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის და მოადგილის ცალკეულ დავალებებს;

ს) ახორციელებს კანონმდებლობით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებსა და უფლება-მოვალეობებს.

2. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურის საქმიანობისათვის გამგებლის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია საკრებულოსა და გამგებლის წინაშე.

თავი IV. სხვა დებულებანი

მუხლი 10.

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

მუხლი 11.

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.